

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



## ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომელს ემუქრებიან

დღეს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რუსთავის ოფისში ბრიფინგი მოაწყო. ბრიფინგის თემა გახლდათ  ნინასაარჩევნო აგიტაციის დროს საქართველოს რეგიონებში A<sup>1</sup> ბრიფინგზე ასოციაციის თავმჯდომარესთან ერთად საიას რუსთავის ოფისის თანამშრომელი ლელა ბეჯაური გამოვიდა. პრესკონფერენციიდან რამდენიმე საათის შემდეგ მას სახლში დაურევეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დაემუქრნენ.

ლელა ბეჯაურმა პრესკონფერენციაზე იმ კანონდარღვევებზე ისაუბრა, რომელიც

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რუსთავის მაჟორიტარი კანდიდატის ლელა აფციაურის საარჩევნო შტაბში ხდებოდა, სადაც მოსახლეობას ვაუჩერებს ურიგებდნენ. ვაუჩერები ელექტრონერგის 37 კილოვატის საფასურის შეღავათს მოიცავდა. აღნიშნული ვაუჩერები გაიცემოდა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე მაჟორიტარი კანდიდატის ლელა აფციაურის სახელით, როგორც მისი წინა საარჩევნო კამპანიის ნაწილი. ლელა ბეჟაური გახლდათ ის თანამშრომელი, ვინც აღნიშნული დარღვევა გამოაშკარავა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოითხოვს დაუყოვნებლივ და ობიექტურ გამოძიებას და იმ პირთა დასჯას, რომლებიც ახორციელებენ მუქარის ბარებს. ბუნებრივია, ყველა ასეთი შემთხვევა, რომლებიც რეაგირების გარეშე დარჩება, წარმოშობს ხელისუფლებისაგან დამნაშავეთა მფარველობის ეჭვს.